პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 125 (5175) 1974 წ. 24 ივლისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფინალური შეხვედრები დაიწყო

ტისაიდი, 23 ივლისი. [illegible] მოჭადრაკეთა [illegible] დაიწყო ფინალური [illegible].

მთავარი ფინალის პირველ ტურში საინტერესო გამოდგა სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდების მატჩი. მეორე დაფაზე მოთამაშე ბალაშოვმა მარცხი იწვნია სტინთან, მაგრამ რომანიშინმა აღადგინა წონასწორობა. შეხვედრის შედეგს გაარკვევს ვაგანიან — მაილსის და კუპრეიჩიკ — მესტელის გადადებული პარტიების დამთავრება.

დიდი ინტერესი გამოიწვია უნგრეთ — აშშ-ს მოჭადრაკეთა შეხვედრამ. იგი შეწყდა, როცა ანგარიში იყო 2:1 ამერიკელთა სასარგებლოდ. მთავარი ფინალის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: დანია — ჩეხოსლოვაკია 2:1 (1 გადადებული პარტია), ფინეთი — ავსტრია 0:1 (3), ჰოლანდია — გფრ 2:0 (2).





## მეტოქე იქნება ჩეხოსლოვაკიის გუნდი

მიუნხენი, 22 ივლისი. დევისის თასის გათამაშების ევროპის „ბ" ზონის ფინალში საბჭოთა ჩოგბურთელთა მეტოქე იქნება ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, რომელმაც აქ ნახევარფინალურ მატჩში მოუგო მასპინძლებს — გფრ-ის წარმომადგენლებს ანგარიშით 3:2.

როგორც ცნობილია, ფინალური მატჩი შედგება 26-28 ივლისს დონეცკში.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ა. გურასაშვილი ალმა-ათიდან ტელეფონით გვატყობინებს

# კიდევ ორი წარმატება

23 ივლისი. დილით რაპირისტთა ფინალურ ბრძოლებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს რ. გიორგაძემ და მ. გუგუშვილმა. საღამოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში გუგუშვილმა სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. გიორგაძე IV ადგილზე გავიდა. ამ წარმატებით საქართველოს მოფარიკავეთა გუნდი უკრაინის კოლექტივს დაეწია (69-69 ქულა) და III—IV ადგილებს იყოფს.

კვლავ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი ტანმოვარჯიშეთა ფინალურ ბრძოლაში თბილისელი ნ. დრონოვას წარმატების გამო. ნინომ სპორტის ოსტატის პროგრამით შეჯიბრებაში ბელორუსიელ ლ. კორბუტთან I-II ადგილები გაიყო (თითოეულს — 75,35 ქულა).

ჯერჯერობით ტანმოვარჯიშე გოგონების გუნდი VI ადგილზეა, ჭაბუკებისა კი — VII. დაიწყო ბრძოლა ცალკეულ იარაღებზე.

მოჭადრაკეებმა 19,5 ქულით III ადგილი დაიკავეს. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ლენინგრადის გუნდმა — 24 ქულა. II ადგილზეა მოსკოვის კოლექტივი — 23,5. დასკვნითს დღეს საქართველოს მოჭადრაკეები დამარცხდნენ აზერბაიჯანის გუნდთან — 3:5.

შეჯიბრება დაამთავრეს მძლეოსნებმაც.

საქართველოს კვარტეტმა 4×400 მ. ესტაფეტაში გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა (3.53,4), მაგრამ იგი საპრიზო ადგილზე მაინც ვერ გავიდა.

ბიჭებმა 4×400 მ ესტაფეტაში ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს — 3.21,3.

ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა მ. ფიოდოროვმაც. 1500 მეტრზე რბენაში მისი შედეგია 4.03,4.

ჩვენმა წყალბურთელებმა ფინალში ვერც ერთი ქულა ვერ მიიღეს და VI ადგილზე დარჩნენ. ბოლო დღეს ისინი უზბეკეთის გუნდთან დამარცხდნენ — 2:3.

უხეიროდ ითამაშეს ჩვენმა ფეხბურთელებმაც, რომლებსაც უკრაინელებმა მოუგეს — 2:0.

დამთავრდა წყალში მხტომელთა შეჯიბრებაც. ს. ნიკოლოტოვა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ლიდერთა შორის იყო, მაგრამ ბოლოს IV ადგილზე აღმოჩნდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა გოგონებმა V ადგილი დაიკავეს, ჭაბუკებმა — VIII. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენები VI ადგილზე არიან.

„დინამოს" დარბაზში გრძელდება „კლასიკოს" მოჭიდავეთა შეჯიბრება. ტ. სხირტლაძემ (52 კგ) IV ადგილი დაიკავა, ტ. ფატიაშვილმა (48 კგ) — VI.

ტანმოვარჯიშე ჭაბუკებმა შეჯიბრება დაამთავრეს. რგოლებზე ვ. კეკელიშვილმა II ადგილი დაიკავა, ხოლო დ. დათუაშვილმა — III. სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ლენინგრადელმა ა. დედიატკინმა.



* * *

სურათებზე: ზემოთ, მარცხნივ — სპარტაკიადის პრიზიორი მ. კულუმბეგოვი (მარჯვნივ) და მისი მწვრთნელი ნ. გაჩეჩილაძე; მარჯვნივ — სპარტაკიადის ჩემპიონი ვ. მაღრაძე (მარჯვნივ) და მეორე პრიზიორი მძიმე წონაში გ. გელაშვილი; ქვემოთ — აკრობატთა შეჯიბრების მესამე პრიზიორი მ. ტუებუჩავა.

ა. გურასაშვილის ფოტოები.

# ჩემპიონები და პრიზიორები...

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატმა, რომელიც ახლახან დამთავრდა უფაში, ხუთ ახალ ჩემპიონს დაულოცა გზა დიდ სპორტში. ზოგიერთი მათგანი პირველად მოხვდა პრიზიორთა რიგებში. სპეციალისტთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა უმჩატესი წონის ათლეტმა ფ. ბაუმბახმა. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რ. დმიტრიევი უფრო მაღალ წონით კატეგორიაში გადავიდა, ყველაზე მსუბუქი წონის მოჭიდავეთა რიგებში გარკვეული „დენადობა" შეიმჩნევა. შარშანდელ ჩემპიონატში თავი გამოიჩინა კრასნოიარსკელმა ვ. ტოკჩინაკოვმა, წლეულს კი მისი ადგილი უდავოდ ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ფ. ბაუმბახმა დაიკავა.

ახალი ჩემპიონები არიან, აგრეთვე, ა. ივანოვი, ბ. გაჯიევი, მ. ნასრულაევი და ე. იკაევი. საპატიო ტიტულები შეინარჩუნეს: ვ. იუმინმა, რ. აშურალიევმა, ვ. ნოვოჟილოვმა, ლ. თედიაშვილმა და ს. ანდიევმა. როგორც ხედავთ, „ძველი გვარდია" პოზიციებს არ თმობს.

წლევანდელი ჩემპიონატი საუწყებო იყო. პირველობისთვის ბრძოლა ძირითადად ოთხი უწყების მოჭიდავეთა შორის გაჩაღდა. „დინამოს" ყველაზე მეტი ჩემპიონი ჰყავს 4(5), მაგრამ საპრიზო ადგილების რაოდენობით მას შეიარაღებული ძალებისა და „სპარტაკის" წარმომადგენლებმა აჯობეს (8-8). საერთოდ კი საპრიზო ადგილები ძირითადად ხუთ ორგანიზაციას შორის განაწილდა. ესენი არიან: „დინამო, „სპარტაკი", შეიარაღებული ძალები, პროფკავშირები და „ბურევესტნიკი".

რა შეიძლება ითქვას საქართველოს მოჭიდავეთა შესახებ? შარშან პრიზიორთა შორის იყო 4 ათლეტი (ერთი —I, ორი II და ერთიც III ადგილი). წლეულს პრიზიორთა რიცხვი ერთით შემცირდა (ერთი ჩემპიონი და ორი ვერცხლის პრიზიორი), მაგრამ იმასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, რომ საკავშირო ჩემპიონატის თარიღები მსოფლიო თასის გათამაშების დაემთხვა, ამ შეჯიბრებაში კი საქართველოს ორი წარმომადგენელი (ნ. მოდებაძე და გ. ყველაშვილი) გამოდიოდა.

და მაინც, ჩვენი რესპუბლიკის ათლეტთა შედეგები არ არის სახარბიელო. რაც დრო გადის, საქართველო სულ უფრო ნაკლები ძალებით მონაწილეობს ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში.

უფაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა ლ. თედიაშვილმა. დღეს იგი ბევრად მაღლა დგას მეტოქეებზე და ძნელი საფიქრებელია, რომ ადვილად დათმოს ეს პოზიცია.

ოქროს მედლის მოპოვების რეალური შანსი ჰქონდა მ. ცნობილაძეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაამარცხა მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ი. იარიგინი. ცნობილაძემ ეს ორთაბრძოლა დიდოსტატურად ჩაატარა. იარიგინი იძულებული იყო მეტოქისთვის 7 ქულა „დაეთმო". სანაცვლოდ კი მხოლოდ 1 აიღო. ცნობილაძეს ბოლო ბრძოლაში (ე. იკაევთან) დაღლილობა დაეტყო და უმნიშვნელო სხვაობით დამარცხდა (მან ჩაატარა ყველაზე მეტი შეხვედრა — 7). კარგი შთაბეჭდილება დატოვა ა. ხოხაშვილმაც. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს იგი ა. აირაპეტიანთან გამარჯვებისთვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი სსრ კავშირის ნაკრების წევრია და პერსპექტიულ მოჭიდავედ ითვლება. ხოხაშვილი ფინალში დამარცხდა აშურალიევთან, მაგრამ ეს სავსებით გასაგებია: ახალგაზრდა ოსტატს ჯერ არა აქვს სათანადო გამოცდილება.

გთავაზობთ პრიზიორთა სიას:

48 კგ. 1. ფ. ბაუმბახი (შეიარაღებული ძალები), 2. ა. ხარიტონიუკი („სპარტაკი"), 3. ნ. ნოგოვიცინი („ბურევესტნიკი").

52 კგ. 1. ა. ივანოვი (შეიარაღებული ძალები), 2. ა. ალახვერდიევი („ბურევესტნიკი"), 3. ტ. ფაშაევი („სპარტაკი").

57 კგ. 1. ვ. იუმინი (პროფკავშირები), 2. რ. ნურმანოვი (შეიარაღებული ძალები), 3. ე. აბდურამანოვი („დინამო").

62 კგ. 1. ბ. გაჯიევი („დინამო"), 2. ვ. ჩერტკოვი (პროფკავშირები), 3. ი. კულეშოვი (შეიარაღებული ძალები).

68 კგ. 1. მ. ნასრულაევი („დინამო"), 2. პ. პინიგინი (პროფკავშირები), 3. ი. გაიდარბეკოვი („სპარტაკი").

74 კგ. 1. რ. აშურალიევი („სპარტაკი"), 2. ა. ხოხაშვილი (პროფკავშირები), 3. ა. აირაპეტიანი („სპარტაკი").

82 კგ. 1. ვ. ნოვოჟილოვი („დინამო"), 2. ნ. იმანგულოვი („სპარტაკი"), 3. ა. პოლიაკოვი (შეიარაღებული ძალები).

90 კგ. 1. ლ. თედიაშვილი (პროფკავშირები), 2. პ. პროკოპჩუკი („სპარტაკი"), 3. ბ. ტუზგაევი (შეიარაღებული ძალები).

100 კგ. 1. ე. იკაევი (შეიარაღებული ძალები), 2. მ. ცნობილაძე („დინამო"), 3. ნ. მუხანოვი (შეიარაღებული ძალები).

მძიმე. 1. ს. ანდიევი („დინამო"), 2. ვ. პარშუკოვი („სპარტაკი"), 3. ბ. ბიგაევი (პროფკავშირები).

## სამართლიანი გადაწყვეტილება

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (ფიჟ-ი) მეთვრამეტე, რიგგარეშე კონგრესმა, რომელიც ბულგარეთის ტანვარჯიშის ფედერაციის თხოვნით შეიკრიბა, მონტრეში გამართულ სხდომაზე გადაწყვიტა, რომ 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ჩატარდეს. ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა ეროვნულ ფედერაციათა 26 წარმომადგენელმა (24 ხმის წინააღმდეგ).

მაშ ასე, სამართლიანობამ გაიმარჯვა. გაუქმდა ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ბულგარეთს უნდა ჩამორთმეოდა ჩემპიონატის ჩატარების უფლება იმ მიზეზით, რომ იგი წინააღმდეგია ასპარეზობაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის წარმომადგენელთა მონაწილეობისა.

## უნებრელი მოფარიკავე — უძლიერესი

გრენობლი, 23 ივლისი. მოფარიკავეთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში რაპირისტ ქალთა პირადი შეჯიბრება ორი ქვეყნის — სსრ კავშირისა და უნგრეთის სამატჩო შეხვედრას უფრო ჰგავდა. საქმე ისაა, რომ ექვსივე ფინალისტი, ამ ორი ქვეყნის წარმომადგენელი იყო.

ამჯერად წარმატება იზეიმეს უნგრელმა მოფარიკავე ქალებმა. პირველად მსოფლიო ჩემპიონი გახდა ი. ბობიში, ვერცხლის მედალი მოიხვეჭა ი. შვარცენბერგერმა, III ადგილი და ბრინჯაოს ჯილდო მიიღო ყაზანელმა სტუდენტმა ნ. გილიაზოვამ. მომდევნო ადგილებზე არიან მ. სოლნოკი (უნგრეთი), ყაზანელი ო. კნიაზევა და მოსკოველი ვ. სიდოროვა (ბუროჩკინა).

აღსანიშნავია, რომ შესარჩევი შეჯიბრების შემდეგ ტურნირს გამოეთიშნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მინსკელი ე. ბელოვა, მსოფლიოს 1973 წლის ჩემპიონი, ყაზანელი ვ. ნიკონოვა.

# ტრადიციები თანდათან მრავლდება

## გამაჯანსაღებელი მუშაობა მოთხოვნებს ვერ პასუხობს

# ბაზები სავალალო მდგომარეობაშია

**„ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის დაკვეითებამ გამოიწვია დიდ სპორტში სრულფასოვანი რეზერვების შევსების მკვეთრი შემცირება. რესპუბლიკის გუნდებმა და სპორტსმენებმა დათმეს თავიანთი პოზიციები საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე" (ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ამასწინანდელი დადგენილებიდან).**

რედაქციაში წერილი მოვიდა: **„ქართველ მეტალურგთა ქალაქი წლიდან წლამდე იზრდება, მატულობს მოსახლეობის, ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულთა რიცხვი. ბაზები კი თანდათან ინგრევა, მათს შეკეთებაზე, ახალი მოედნების მოწყობაზე არავინ ფიქრობს. საცურაო აუზის მშენებლობა, რომელიც აღარ გვახსოვს როდის დაიწყო, საოცრად გაჭიანურდა. სად გავატაროთ თავისუფალი დრო, ქუჩაში?**

**ახალგაზრდების ჯგუფი".**

წერილი ყურადსაღები იყო, მით უმეტეს, რომ აუზის მშენებლობის დაბალი ტემპი რედაქციისთვის მანამდეც ცნობილი გახლდათ.

რუსთავს ვეწვიეთ. ჩვენი რესპუბლიკის ამ ახალგაზრდა ქალაქის აწმყო და მერმისი გულს ახარებს. კაცი სიამოვნებით ათვალიერებს ლარივით სწორ და ფართო ქუჩებს, მოედნებს, მრავალსართულიან ადმინისტრაციულ შენობებს, საცხოვრებელ მასივებს, გიგანტურ საწარმოებს — მეტალურგიულ ქარხანას, ქიმიურ კომბინატს, ქიმიური ბოჭკოს და ცემენტის ქარხნებს... რომელი ერთი, ჩამოვთვალოთ.

რუსთავი ჩვენი რესპუბლიკის ნამდვილი სიამაყეა. კაცს არ შერცხვება, მოძმე რესპუბლიკიდან ან უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმარს იქეთ თუ გაასეირნებს და ეტყვის, რომ ჯერ კიდევ ორმოციან წლებში აქ მხოლოდ ტრიალი მინდორი იყო.

სტუმარი უდავოდ კმაყოფილი დარჩება, თუ მეტალურგიული ქარხნის სპორტულ ბაზებსაც არ ანახვებთ და ქალაქის დათვალიერებით მიღებულ შესანიშნავ შთაბეჭდილებას ამით არ წაუხდენთ.

„განთიადის" რუსთავის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბურჭულაძემ გვითხრა, რომ ქარხნის დირექცია (დირექტორი ო. სულაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი კ. ბაქრაძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ტოლიკიშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ჭეიშვილი) მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის სათანადო დონეზე დაყენებისთვის ძალასა და ენერგიას არ იშურებს (ეს სიტყვები ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. აბუაშვილმაც დაადასტურა).

დირექციის ზრუნვის ნიმუშად სწორედ აუზის ისტორია მოიშველიეს. ამ აუზს საძირკველი ქალაქის კომკავშირთა თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით 18 წლის წინათ ჩაეყარა. სხვადასხვა ორგანიზაციის დახმარებით მშენებლობა ერთხანს სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ მერე კომკავშირელებს ხელი ვეღარ შეუწყვეს, სამშენებლო მასალები საკმარისი რაოდენობით ვერ მიაწოდეს და ბოლოს ენთუზიაზმი სულაც ჩაქრა.

თავდაპირველად გათვალისწინებული იყო აგება შესანიშნავი 25-მეტრიანი დახურული აუზისა, რომელსაც ექნებოდა მშრალი ცურვის დარბაზი, ყველა საფეხურის წყალში ხტომის ტრამპლინები და კოშკები, დამხმარე სათავსები, მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა ოთახები, ექიმის კაბინეტი.

წლები გადიოდა, სანახევროდ აგებული აუზის მშენებლობის დამთავრება კი არავინ აპირებდა. მაშინ დასახმარებლად სწორედ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექცია მოვიდა: შარშანწინ ქარხანასთან არსებული პროფტექსასწავლებლისთვის სამბილიკიანი აუზის მშენებლობა დაიწყო. საქმეში ქალაქის ხელმძღვანელობის ჩარევის შემდეგ გადაწყდა, რომ მეტალურგიულ ქარხანას ზემოაღნიშნული დახურული აუზის მშენებლობა დაემთავრებინა. ეს ბაზა პროფტექსასწავლებელსაც ეყოფოდა და ქალაქსაც გამოადგებოდა.

ქარხანამ საქმეს ხელი მოჰკიდა, მაგრამ აუზის პროექტი მნიშვნელოვნად შეიცვალა: სადღაც გაქრა 10-მეტრიანი კოშკი, მშრალი ცურვის აუზი. მეტალურგმშენის სამმართველოს (უფროსი თ. ტიმოფეევი) დაევალა ობიექტი საექსპლოატაციოდ შემდეგი წლისთვის ჩაებარებინა. მშენებლებმა საქმეს ერთხანს მართლაც მარჯვედ შეუტიეს, მაგრამ მერე დიდი ხნით აღარ გაკარებიან ობიექტს.

ჩვენი სტუმრობის დროისთვის აქ შრომა ისევ გაეჩაღებინათ — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის მე-6 სპეცმშენის სპეციალური ბრიგადები მუშაობდნენ. ერთი შეხედვით შემინვისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის გარდა გასაკეთებელი ბევრი აღარაფერია, მაგრამ თუ შენობაში შეიხედავთ, მიხვდებით, რომ საქმე მთლად ასე არ არის.

როგორც შევიტყვეთ, აბაზანამ თავდაპირველ გამოცდას ვერ გაუძლო და ამიტომ მისი ტორკრეტირება ხელახლა დაიწყეს. მოსაწყობია საქვაბეები, გათბობის სისტემა, გასაკეთებელია ფილტრების მონტაჟი, იატაკი, ჭერი, მაყურებელთა სკამები, ვესტიბიული და ბევრი სხვა.

ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე, რომელიც სპორტკლუბ „ფოლადს" ეკუთვნის, „ტყავის ბურთის" პრიზის რესპუბლიკური პირველობის (უფროსი ასაკის ჯგუფისთვის) შეჯიბრება მიმდინარეობდა. ფეხბურთის მინდორს არა უშავს რა, მაგრამ ტრიბუნებზე (განსაკუთრებით აღმოსავლეთის მხარეს) სკამები დამტვრეულია, მოაჯირები — დანგრეული. გასახდელები არ ვარგა. სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები გაპარტახებულია. ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნებს აშკარად აკლიათ მზრუნველი ხელი — ბალახი მომძლავრებულა, კალათბურთის რგოლები და ბადეები სადღაც გამქრალა, წვიმის დროს გაუვალი გუბეები დგება.

ყველაფერი ეს საკუთარი თვალით ვნახეთ. მიზეზის გასაგებად სპორტკლუბის გამგეობაში შევედით და აბუაშვილს ვესაუბრეთ. როგორც ამ საუბარში შევიტყვეთ, მეტალურგ ფიზკულტურელებს სხვა მიზეზებიც უშლით ხელს. საჭიდაო დარბაზი, სადაც ჭიდაობის ყველა სახეობის სექციები ნაყოფიერად მუშაობდნენ, ამ ორი წლის წინათ ქორეოგრაფიის მოყვარულებს გადასცეს. სამაგიეროდ, 300-მდე მოჭიდავეს მიუჩინეს შეუფერებელი ბინა, სადაც ნორმალურად ხალიჩაც არ იშლება, არ არის საშხაპე, გასახდელები, ექიმის ოთახი, ჰაერი არ იწმინდება.



მაისში ქარხნის სატრანსპორტო საამქროს გაფართოების გამო დოსააფის საქარხნო კომიტეტის ერთადერთი სასროლეთიც დაანგრიეს, მართალია, ქარხნის დირექცია დოსააფს სამაგიერო ტირის აგებას დაჰპირდა, მაგრამ სიტყვის შესრულება ჯერ არავის მოჰგონებია, დოსააფის საქარხნო კომიტეტს კი (თავმჯდომარე გ. წივწივაძე) სადღეისოდ არავითარი ბაზა აღარ გააჩნია და, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაც ფერხდება.

ამრიგად, რუსთაველი ახალგაზრდების სიგნალი მთლიანად დადასტურდა. სპორტკლუბში გვითხრეს: ქარხნის დირექტორს სპორტული ბაზების კაპიტალური რემონტისთვის სახსრები არ ენანება, საამისოდ უკვე 200 ათასი მანეთი გამოყვეს, მაგრამ ვერ ნახეს სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაცია, რომელიც ამ საქმეს ითავებდა.

კარგი იმედია. საქართველოს სპარტაკიადა, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის ნაკრების წევრები უნდა დაასახელოს, კარს მოგვადგა, რუსთავში კი ჯერ ბაზების რემონტიც არ დაუწყიათ.

დავინტერესდით — როცა ფიზკულტურული კოლექტივის სპორტული ბაზები ამ მდგომარეობაშია, რა დონეზე უნდა იდგეს ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა?

ქარხნის 10 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გაძღოლა სპორტკლუბ „ფოლადის" გამგეობას (თავმჯდომარე, ქარხნის დირექტორის მოადგილე ს. ხიზანიშვილი) და 10 შტატით მომუშავე ფიზკულტურის სპეციალისტს ავალიათ. ქარხანაში 2200-ზე მეტი კომკავშირელია. მარტო მილსაგლინავ საამქროში 1500-მდე კაცი მუშაობს, ყველაზე პატარა საამქროში — საკაეროში — 25. ქარხანაში 32 საამქროშია შექმნილი დამოუკიდებელი და გაერთიანებული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოები. მუშა-მოსამსახურეთა 50 პროცენტზე მეტი სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრია, 5352 — ფიზკულტურელი.

მეტალურგებს ქალაქში ყველაზე ძლიერი სპორტული კოლექტივი ჰყავთ. მაგრამ გამაჯანსაღებელი მუშაობა მაინც დაბალ დონეზეა. ქარხნის სპეციფიკის გამო საწარმოო ტანვარჯიში არც ერთ საამქროში (ქარხნის სამმართველოს გარდა) არ არის დანერგილი.

— სამაგიეროდ, საწარმოო ტანვარჯიში სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით შევცვალეთ. სიების მიხედვით, ქარხანაში ტურიზმს 643 კაცი მისდევს, თევზაობას — 208, — გვითხრეს სპორტკლუბში.

მაგრამ შემდეგ საუბარში გამოირკვა, რომ ფეხით ლაშქრობები მივიწყებულია. ქალაქიდან ავტობუსითაც ათასში ერთხელ გადიან (შარშან ერთ დღეს ბაზალეთის ტბაზე 700 მუშა და მოსამსახურე ჰყავდათ), თევზაობაში კი, აღარც ახსოვთ, ბოლო შეჯიბრება როდის ჩაატარეს.

ნადირობისა და სხვა გამაჯანსაღებელი ჯგუფები საერთოდ არ არის შექმნილი. თავი იმართლეს: — გამაჯანსაღებელი ჯგუფები რა საჭიროა, როცა ქარხნის ბევრ თანამშრომელს ქალაქგარეთ მიწის ნაკვეთი აქვს და თავისუფალ დროს იქ შრომაში ატარებსო. საინტერესოა, მშდ კომპლექსის ნორმატივებსაც იქ ხომ არ აბარებენ?

რაკი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვით, რომ მშრომელთა გაჯანსაღების ისეთი უებარი საშუალება, როგორიც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადება და შეჯიბრებებია, აქ სათანადო სიმაღლეზე არ დგას. გვითხრეს, წლეულს მშდ კომპლექსის 300 ნიშნოსანი უნდა მოვამზადოთ და მოსამზადებელ ჯგუფებში 450 კაცი გავაერთიანეთო. ასეთი მრავალრიცხოვანი კოლექტივისთვის ესეც ძალიან ცოტაა.

და მაინც, ეჭვი გვეპარება, რომ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება სრულყოფილად ხდებოდეს. ცურვაში მოთხოვნების შესრულება ძალიან უჭირთ. საქმე ისაა, რომ ცურვა ბევრმა არ იცის. რუსთავში არსებული ერთადერთი, მშენებლობის № 1 ტრესტის ღია აუზი ყველას ვერ აუვა. აქ ცურვის სპეციალისტიც არა ჰყავთ. თანაც, აუზში ხშირად წყალიც არ არის.

თუ ამას დავუმატებთ, რომ ტირის უქონლობის გამო სროლაში ნორმატივების ჩაბარება ფერხდება, სურათი ნათელი იქნება.

„განთიადის" რუსთავის საქალაქო საბჭო ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა. „განთიადის" საქალაქო საბჭოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შარშან რუსთაველებმა იმარჯვეს და გარდამავალი დროშა დაიმსახურეს. ამ წარმატებაში ერთგვარი წვლილი, რა თქმა უნდა, მეტალურგთა კოლექტივსაც აქვს შეტანილი, მაგრამ ეს არ კმარა. ამ გიგანტმა საწარმომ ფიზკულტურული მუშაობა საგრძნობლად უნდა გარდაქმნას.

**ო. გელაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

რუსთავი.

• • •

**სურათზე:** აუზის ხედი.
ავტორის ფოტო.

# საჭირბოროტო საკითხებზე

ჩატარდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული და სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც განიხილა მეზღვაურთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი საქმიანობის საჭირბოროტო საკითხები.

კრებამ მოისმინა სანაოსნოს უფროსის მოადგილის, სამმართველოს ფიზკულტურისა და სპორტის ხელშემწყობი საბჭოს თავმჯდომარის **ა. ფარშაკოვის** მოხსენება.

— მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი განვითარება, — თქვა მომხსენებელმა, — მჭიდროდ უკავშირდება მეზღვაურთა შრომითი კოლექტივების პრაქტიკულ საქმიანობას, შრომისნაყოფიერების ამაღლებას, აქტიური დასვენების უკეთ ორგანიზაციას.

სანაოსნოში საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურული კოლექტივების, საზოგადოება „ვოდნიკის" წევრების, სპორტსმენ-თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების რიცხვი.

მეზღვაურთა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ შარშან 118 პროცენტით შეასრულა მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების ვალდებულება, „ვოდნიკის" კოლექტივებს შორის I ადგილი დაიკავა და ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სამმართველოს პარტბიუროს მდივანმა **ს. ტოშკუამ**, თბომავალ „ნიკო ნიკოლაძის" კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ **ო. ფირცხალავამ**, საქართველოს სანაოსნოს სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა **გ. ბოლქვაძემ**, ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურების ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეებმა **ს. კოტლიაროვმა** და **რ. პატარიძემ**, „ვოდნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. იორამიშვილმა**, ბათუმის საზღვაო სასწავლებლის ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარემ **დ. ზენოვმა**, ტანკერ „ბუგულმას" კაპიტნის პირველმა თანაშემწემ **ვ. კუროპოვმა**, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **ზ. მამუჭაძემ** გააკრიტიკეს ზოგიერთი სახომალდო და სანაოსნო ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობა. აღინიშნა ბათუმისა და სოხუმის საზღვაო ნავსადგურების ფიზკულტურის კოლექტივების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

აქტივის კრებამ დიდი ყურადღება დაუთმო ფიზკულტურის კოლექტივების ორგანიზაციულ დამტკიცებას, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებას, სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოებისა და მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების აქტუალურ პრობლემებს.

კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## „ლელო" წერილების კვალდაკვალ

### „დავეხმაროთ სოფლის ახალგაზრდობას"

**ამ სათაურით „ლელოს" 5 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ საჩხერის რაიონის სოფელ მოძვში კოლმეურნეობის გამგეობის უყურადღებობის გამო ახალგაზრდობას სპორტული მოედნები არა აქვს. საჩხერის „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე თ. ლაშხი გვატყობინებს, რომ სოფლის ცენტრში საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის მეურნეობას აქვს მარტივი ტიპის ფეხბურთის მინდორი და ფრენბურთის მოედანი. მეურნეობის დირექცია იზრუნებს მათი უმოკლეს ხანში კეთილმოწყობისთვის.**

### „ბაზას მოვლა სჭირდება"

**გაზეთ „ლელოს" 18 ივნისის ნომერში ამ სათაურით დასტამბულ წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის კოლმეურნეობის ფეხბურთის მინდორი მოუვლელია. საჩხერის „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე თ. ლაშხი გვწერს, რომ მდგომარეობა გამოსწორდა. მინდორზე ახალი ძელები დაიდგა და ღობეც შეკეთდა.**

# წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

რედაქციაში შემოვიდა წერილი ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხიდან: ახალგაზრდობა ჩიოდა, ფეხბურთის მინდორი გადაგვიხნესო.

ეს წერილი გადაეგზავნათ ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელებს. საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი შ. დევდარიანი პასუხად გვატყობინებს, რომ სოფელ კიცხის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შარშან გაკეთდა ფეხბურთის მინდორი, რომელიც ემსახურებოდა კიცხის, წყალაფორეთის, ვარძიისა და ხიდრის კოლმეურნეობებს. ტერიტორია, სადაც მინდორი გაკეთდა, მანამდე კოლმეურნეებს ეკუთვნოდათ, რომლებსაც ახლა სამაგიეროდ მიწის სხვა ნაკვეთი მიეცათ. მაგრამ შემდეგ სწორედ ამ კოლმეურნეებმა თვითნებურად გადახნეს მინდორი. ახლა საკითხი მოგვარებულია. სარბიელი კიცხის ზონის კოლმეურნე ახალგაზრდებს დაუბრუნდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# იქნებ მართლა ჩაეყარა საძირკველი?

იმპროვიზებული პრეს-კონფერენცია, რომელშიც ერთი მხრივ „ლელოს" კორესპონდენტი მონაწილეობდა, მეორე მხრივ კი საქართველოს საგზატკეცილო ველოსიპედისტთა ნაკრების მწვრთნელები ი. გოცირიძე და ნ. ტრეტიაკოვი, სამიოდე კვირის წინათ გაიმართა. რესპუბლიკის ნაკრები ესტონეთში მიემგზავრებოდა საასპარეზოდ, ველოსპორტის ერთ-ერთ კლასიკურ რესპუბლიკაში, და შეკითხვებსაც კორესპონდენტი იძლეოდა:

**● — ისახავთ თუ არა რაიმე კონკრეტულ მიზანს ესტონეთში გამგზავრების წინ?**

— ვინაიდან უკვე დღეს საქართველოს სპორტსმენთა მთავარი საზრუნავი სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადაა, ჩვენი კონკრეტული მიზანია რაც შეიძლება უკეთ მოვემზადოთ ამ საპასუხისმგებლო სტარტებისთვის.

**● — გაქვთ თუ არა წარმატების რაიმე იმედი?**

— უიმედო კაცი საერთოდ ცოდვა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გამოცდილ ველოსიპედისტებთან მეტოქეობა ჩვენს გამოცდილებასაც გაამდიდრებს.

**● — რატომ მაინცდამაინც ესტონეთისკენ აიღეთ გეზი. განა უმჯობესი არ იქნებოდა უფრო თანაბარი ძალის მეტოქე შეგერჩიათ?**

— არავითარ შემთხვევაში. რისი შნო და შესაძლებლობა გვაქვს, ძლიერთან ბრძოლაში უნდა გავარკვიოთ.

კანონიერი სურვილია. მწვრთნელებს წარმატება ვუსურვეთ და გზაც დავულოცეთ. მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ გულის სიღრმეში ეს წამოწყება ავანტიურად უფრო გვეჩვენა. სად შეუძლიათ ჩვენს ველოსიპედისტებს ესტონელ ოსტატებთან შეჯიბრება? ამ რესპუბლიკას, მდიდარ ტრადიციებთან ერთად, ჰყავს რამდენიმე ძლიერი, ექსტრა-კლასის სპორტსმენი. ზოგიერთი მ...ანი სსრ კავშირის ნაკრების წევრია, ზოგიც სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს გუნდების ლიდერად ითვლება. მოდი და შეერკინე ასეთ სპორტსმენებს, თანაც მათთვის ნაცნობ გზებზე, სადაც ყოველი აღმართი და თავდაღმართი, ყოველი მეტრი ველოსიპედების საბურავებითაა გაცვეთილი.

ერთხელ შინაურულ საუბარში საქართველოს გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ი. გოცირიძემ გულისტკივილით გაგვანდო: „ბიჭები თითქოს ცუდად არ ემზადებიან, სისწრაფეც საკმარისი აქვთ, ფიზიკური მომზადებაც, მაგრამ ვერაფრით ვერ გადავლახეთ ეს დაწყევლილი ჯადო წრე. შეჯიბრების წინ მეცა და გუნდის წევრებიც იმედიანად ვართ, შეჯიბრების შემდეგ კი ყურებჩამოყრილი შევცქერით ერთმანეთს".

ი. გოცირიძისა და ნ. ტრეტიაკოვის მდგომარეობა სავსებით გასაგებია: არც ერთი არ იშურებს ძალას, ენერგიას, დილიდან საღამომდე ველოსიპედისტებთან არიან, მათი ცხოვრებით ცხოვრობენ და მათი სუნთქვით სუნთქავენ. თითქოს დისციპლინაც არის და ხელშეწყობაც, წვრთნის დროს თავს მშვენივრად გრძნობენ, მერე კი... ყველაფერი თავიდან იწყება.

იქნებ მონდომება აკლიათ ან რწმენა ღალატობთ? არ არის გამორიცხული. მწვრთნელებსაც ჰქონიათ ეს ეჭვი და ამიტომაც სიხარულით მიიღეს ესტონეთის სპორტკომიტეტისა და ველოსპორტის ფედერაციის მიწვევა.

დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, განაწილდა ფუნქციები, შემუშავდა ბრძოლის გეგმა. ესტონელებს 12 გუნდი გამოჰყავთ, ჩვენ — ერთი ნაკრები (ი. რთველიაშვილი, დ. კობაიძე, ა. ხომუტოვი, ა. კოსტეცკი, გ. თოლომაშვილი) და სამი ველოსიპედისტი (რ. წაქაძე, ა. ხახიაური, ვ. ბოგდანოვი). პირად ტურნირში საასპარეზოდ ძალები, რა თქმა უნდა, უთანაბროა, თანაც, მასპინძლები ყოველნაირად შეეცდებიან პრიზები სტუმრებს არ გაატანონ (სტუმარ-მასპინძლობის ცნება სპორტში ერთგვარად სახეშეცვლილია).

ერთი სიტყვით, ასპარეზობა დაიწყო ტარტუ-ვირუს 120-კილომეტრიანი ეტაპით. დაიწყო და... მოხდა სენსაციაც: სტარტიდანვე დაწინაურდნენ სტუმრები. ძირითად ჯგუფს ჯერ ხახიაურ-რთველიაშვილის წყვილი გამოეყო, მერე მათ ხომუტოვი წამოეწია. ესტონელებმა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დაწინაურებულთ რ. მიტი დაადევნეს. იგი გამოცდილი ველოსიპედისტია. რამდენიმე მრავალდღიან რბოლაში გამარჯვებული, ამიტომაც მასპინძლების რეპუტაციის ხსნა მას დაევალა. მიტი მართლაც შეუერთდა დაწინაურებულებს, მაგრამ მეტი ველარაფერი შეძლო. პირველი ფინიში საქართველოს წარმომადგენლებმა გაითამაშეს. გამარჯვება ხახიაურს დარჩა, რთველიაშვილი II ადგილზე გავიდა, ხომუტოვი კი — III.

პირველ ეტაპზე დაკარგული წუთების ანაზღაურება ესტონელებმა მეორე ეტაპზე სცადეს. რბოლა ს. პაარმამ მოიგო, მაგრამ ლიდერთა მდგომარეობა უცვლელი დარჩა. ყვითელი მაისური რთველიაშვილს ჩააბარეს.

მესამე ეტაპის ლაურეატები ქ. კამპონე და ხომუტოვი იყვნენ, გაიმარჯვა ესტონელმა, მაგრამ არც ხომუტოვი დარჩა გაწბილებული. იგი მჭიდროდ მიუახლოვდა რბოლის ერთპიროვნულ ლიდერს რთველიაშვილს.

ველორბოლის მასპინძლების მთელი იმედი ახლა ბოლო, მეოთხე ეტაპზე იყო დამყარებული. დღის პირველ ნახევარში მოეწყო რიგ-რიგი სტარტი, რომელშიც ჩვენი ველოსიპედისტები ტრადიციულად სუსტად გამოდიან. ესტონელების ტაქტიკური ჩანაფიქრიც სწორედ ის იყო, რომ ამ ასპარეზობაში გაეტეხათ სტუმრების საბრძოლო სული, მაგრამ... მოხდა კიდევ ერთი სენსაცია და სამივე პირველი ადგილი ჩვენებმა მოიგეს: რთველიაშვილმა საუკეთესო დროთი (58.45), ხომუტოვმა—მეორე შედეგით (59.23), კოსტეცკიმ კი — მესამით (1.01,14).

ბრძოლის ბედიც საბოლოოდ აქ გადაწყდა, ვინაიდან დღის მეორე ნახევარში გამართულ კრიტერიუმს ბრძოლის საერთო სურათის შეცვლა აღარ შეეძლო.

მაშ ასე, საქართველოს ნაკრებმა მოიგო გუნდური რბოლა — 27:46.25, II ადგილზე ქალაქ ვილიანდის ველოსიპედისტები გავიდნენ — 28:10.07. მათ კიდევ უფრო მეტად ჩამორჩნენ რბოლის ფავორიტები — ტალინის „კალევის" ველოსიპედისტები — 29:11.49. პირად ჩათვლაში ესტონეთის ოთხდღიანი რბოლის ჩემპიონი გახდა რთველიაშვილი. II ადგილი წილად ხვდა ხომუტოვს, III — მიტს. ჩვენი გუნდის დანარჩენმა წევრებმა — კობაიძემ, თოლომაშვილმა და კოსტეცკიმ შესაბამისად V, VII და XII ადგილები დაიკავეს...

საკუთარი ძალის რწმენა სპორტში მართლაც დიდი საქმეა. ხშირად, ერთი უმნიშვნელო გამარჯვება დიდი წარმატების დასაბამი შეიძლება გახდეს. ვინ იცის, იქნებ საქართველოს ველოსიპედისტთა ალმაცლობას სწორედ ესტონეთის გზებზე ჩაეყარა საძირკველი?

**ნ. გუგუშვილი.**

# დაბალი შედეგებით...

ზუგდიდში ჩატარდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობა ველოსპორტში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 16 რაიონი. ორდღიანი შეჯიბრების შემდეგ გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა აფხაზეთის ნაკრებმა. II ადგილი წილად ხვდათ ზუგდიდის, ხოლო III — აჭარის წარმომადგენლებს.

იუნიორთა პირად პირველობაში თავი ისახელა ლაგოდეხელმა ვ. ჩივაზოვმა, რომელმაც ორი დისტანცია მოიგო — 25 კმ-ზე რიგ-რიგი და ჯგუფური რბოლა. ვაჟთა შორის გაიმარჯვა (ასევე ორივე დისტანციაზე) აფხაზეთის წარმომადგენელმა ა. ლენკოვიჩმა.

ქალთა შორის 15-კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი იყო აფხაზეთის გუნდის წევრი გ. სელეზნიოვა. 50-კილომეტრიანი რბოლა მოიგო აფხაზეთის გუნდმა. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა რაიონმა სუსტად მომზადებული გუნდები გამოიყვანა. 127 მონაწილიდან ნახევარზე მეტმა ვერ შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები.

**ა. ფიფია.**

# შეჯიბრებათა ფერხულში

ბორჯომის ულამაზეს ხეობაში, ქვიშხეთში, გახსნილია განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკი „შევარდენი".

ყოველ ნაკადში ბანაკი 440-მდე პიონერსა და ოქტომბრელს მასპინძლობს. ნორჩ დამსვენებლებს პედაგოგთა გამოცდილი კოლექტივი ხელმძღვანელობს. ბანაკის სპორტულ ცხოვრებას თავკაცობენ წარსულში ცნობილი სპორტსმენები: ბანაკის უფროსი კ. სახვაძე, სპორტის ოსტატები მოჭიდავე გ. თოფჩიშვილი და კალათბურთელი ნ. ასიტაშვილი.

ტრადიციად დამკვიდრდა ბანაკის სპარტაკიადა. ამ მიმზიდველი შეჯიბრების პროგრამაში სპორტის 7 სახეობა შედის: მინი-ფეხბურთი, მინი-კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და შაში. პიონერები და ოქტომბრელები სპორტის სხვადასხვა სახეობის სექციებში მეცადინეობენ.

პატარები დიდი სიყვარულით სარგებლობს „მორბენლის დღე" და „მხტომელის დღე", აგრეთვე, სპორტული ვიქტორინა. ნორჩი სპორტსმენები ხალისით ესწრებიან საუბრებს მსოფლიო პირველობების, ოლიმპიური თამაშებისა და სპარტაკიადების შესახებ.

ბანაკში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა მომზადებას. მაგალითად, პირველ ნაკადში 150-მდე პიონერმა ჩააბარა ნორმატივები. სხვათა შორის, ზოგმა ნორჩმა სპორტსმენმა თანრიგიც მიიღო, ზოგი კი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მსაჯი გახდა.

ბანაკი ხშირად აწყობს ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელი პიონერთა ბანაკების ნორჩ სპორტსმენებთან.

ბავშვები ხალისით მონაწილეობენ ტურისტულ ლაშქრობებსა და ექსკურსიებში.

**მ. ზარქუა.**

**სურათებზე:** (ზევით მარცხნიდან) დილის გამამხნევებელი ვარჯიში; ასპარეზობენ მაგიდის ჩოგბურთელები; (ქვევით მარცხნიდან) მოჭადრაკეები და ფრენბურთელები.

მ. ზარგარიანის ფოტოები.





ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 19 | 10 | 5 | 4 | 28—14 | 25 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 19 | 10 | 5 | 4 | 29—17 | 25 |
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 19 | 10 | 4 | 5 | 24—12 | 24 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 19 | 10 | 3 | 6 | 33—20 | 23 |
| „დინამო“ (მინსკი) | 19 | 9 | 5 | 5 | 26—19 | 23 |
| „კუზბასი“ (კემეროვო) | 19 | 10 | 3 | 6 | 24—23 | 23 |
| „ტავრია“ (სიმფეროპოლი) | 19 | 9 | 3 | 7 | 30—23 | 21 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 19 | 6 | 8 | 5 | 22—21 | 20 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 19 | 7 | 6 | 6 | 23—24 | 20 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 19 | 6 | 7 | 6 | 17—16 | 19 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 19 | 7 | 5 | 7 | 16—20 | 19 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 19 | 7 | 5 | 7 | 16—21 | 19 |
| „სპარტაკი“ (ივანო ფრანკოვსკი) | 19 | 4 | 9 | 6 | 17—19 | 17 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 17 | 5 | 6 | 6 | 20—17 | 16 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 18 | 6 | 4 | 8 | 21—26 | 16 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 19 | 6 | 4 | 9 | 23—33 | 16 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 18 | 6 | 3 | 9 | 19—24 | 15 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 19 | 4 | 6 | 9 | 17—24 | 14 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 19 | 3 | 6 | 10 | 21—35 | 12 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 19 | 2 | 5 | 12 | 16—34 | 9 |

## საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება

ვროცლავი, 22 ივლისი. დღეს აქ დამთავრდა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 30 წლისთავს მიეძღვნა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საბჭოთა გუნდი (იგი მოსკოვის სახელით გამოდიოდა) და მასპინძელთა კოლექტივი — ვარშავის ნაკრები. 90 წუთის მანძილზე უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 3:0 (1:0). ორი ბურთი გაიტანა ბლოხინმა, ერთი — ზანაზანიანმა.

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კოლტუნი, ძოძუაშვილი, ლემეშკო, ოლშანსკი, ლოსევი, ანდრეასიანი, ფედოტოვი (ზანაზანიანი), ნიკულინი, კოლოტოვი, შეპელი (ხაძიპანაგისი), ბლოხინი.

ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში აიგო სპორტთამაშების დარბაზი, რომელიც ყველაზე დიდია შუა აზიაში. დარბაზის ფართობი 2000 კვადრატულ მეტრს აღწევს. იგი სურვილისამებრ თავისუფლად შეიძლება გადაკეთდეს ცალკეულ მოედნებად, სადაც ივარჯიშებენ ფრენბურთელები, კალათბურთელები, ხელბურთელები, ზამთრობით ახალი ბაზა სტუმართმოყვრულად გაუღებს კარს ფეხბურთელებსა და ჩოგბურთელებს. თუ საჭირო იქნება, აქ შეიძლება მოეწყოს რინგი მოკრივეებისთვის, დაიგოს საჭიდაო ხალიჩები, დაიდგას ფიცარნაგი ძალოსნებისთვის. მაყურებელთა ტრიბუნებზე 8 000 ადგილია.

რ. პოზდნიაკოვის ფოტო.



## რკინიგზელთა გუნდური პირველობა

ამას წინათ ვილნიუსში დამთავრდა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს გუნდური საკავშირო პირველობა ჭადრაკში, რომელშიც რკინიგზის 17 საგზაო საბჭოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ამიერკავკასიის რკინიგზის გუნდმა, რომელიც საქართველოს წარმომადგენლებით (მ. ჩახოიანი, ვ. ვეფხვიშვილი, ა. კოტლიარევსკი, გ. რუხაძე, პ. ჩხეიძე, მ. ვაჩეიშვილი, ნ. ჩხაიძე) იყო დაკომპლექტებული, VI ადგილი დაიკავა. იგი სპორტსაზოგადოების ჩემპიონს — მოსკოველთა გუნდს (32 ქულა) მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩა.

აღსანიშნავია ქართველი მოჭადრაკე გოგონების ნ. ჩხაიძისა და მ. ვაჩეიშვილის წარმატება. 15 წლის ჩხაიძემ 6 ქულა მოაგროვა 7 შეხვედრაში და I ადგილი დაიკავა თავის დაფაზე, ვაჩეიშვილი კი ქალთა დაფაზე III ადგილზე გავიდა. ორივე მოჭადრაკე მიწვეულია „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ქალთა პირველობის ფინალში მონაწილეობის მისაღებად.

ნ. ჩახნაშვილი.

ჭადრაკო ამოცანა სწორად ამოხსნეს: ი. დევნოზაშვილმა, ლ. ნოზაძემ, ა. მიშველიძემ, ტ. და ო. მამულაშვილებმა, ზ. ბიწაძემ (ყველა — თბილისი), ნ. ფადარაშვილმა (თეთრი წყაროს რაიონი, სოფ. კოდა), მ. ბერიაშვილმა (ყვარლის რაიონი, სოფ. საბუე), რ. ხიდურელმა (ამბროლაური), ვ. დანელიამ (ცხაკაიას რაიონი, სოფ. ნოსირი) და ა. ქუხილავამ (წალენჯიხის რაიონი, დ. ჯვარი).

ამოცანის ამოხსნაა 1. მh7.

## მატჩი გადაწყვეტს...

ბელგრადში დამთავრდა იუგოსლავიის მოჭადრაკე ქალთა მორიგი ჩემპიონატი. I-II ადგილები გაიყვეს გ. მარკოვიჩმა და ა. პიხაილიჩმა. გორდანა მარკოვიჩი ცნობილი მოჭადრაკეების -იოვანოვიჩების ერთ-ერთი დაა. ახლა იგი მეუღლის გვარით გამოდის. პირველ ორ ადგილზე გასულ მოჭადრაკეთა შორის გაიმართება დამატებითი მატჩი ოთხ პარტიად, რომელიც ჩემპიონს გამოავლენს.

III-IV ადგილები გაიყვეს საერთაშორისო ოსტატებმა მ. ლაზარევიჩმა და კ. იოვანოვიჩმა.

მხედრებმა თუ აიწყვიტეს

გ. კაკაბაძე (თბილისი)



შამათი 10 სვლაში

## სწორად ამოხსნეს

„ლელოს“ 13 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული მ. ადე დასნის სა-

რაიონებში სტადიონები

ჩოხატაური

ჩატარდა კალათბურთელთა რაიონული პირველობა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „კოლმეურნის“ განათლების განყოფილებისა და გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენები. გაიმარჯვეს „კოლმეურნის“ კალათბურთელებმა.

დ. გურგენიძე.

• • •

საინტერესოდ მიმდინარეობდა კოლმეურნე ფეხბურთელთა სარაიონო თასის გათამაშება, რომლის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ხიდისთავისა და ჩაისუბნის გუნდები.

ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს ხიდისთაველებმა.

რ. ოსეფაიშვილი.

## ცურვა

ნეაპოლი. ცნობილმა იუგოსლაველმა მოცურავემ ვ. როგუშიჩმა მეოთხედ მოიგო ზემარათონული შეჯიბრება კაპრიდან ნეაპოლამდე. 20 მილის გაცურვას მან ამჯერად 7:10.20 მოანდომა, რაც შეჯიბრების რეკორდია და აღრინდელ მიღწევას, რომელიც იტალიელ ჯ. ტრავალოს ეკუთვნოდა, 22,45 წუთით სჯობს.

## მძლეოსნობა

ბელგრადი. იუგოსლავიის მძლეოსნები ევროპის ჩემპიონატისთვის ენერგიულად ემზადებიან და საითანადო წარმატებებიც აქვთ. განსაკუთრებით დაწინაურდა ევროპის ჩემპიონი 800 მეტრზე რბენაში დახურული დარბაზებისთვის ლ. სუშანი. ქვეყნის თასის გათამაშებაში მან 800 მეტრის დაფარვას 1.45,3 მოანდომა, ამას წინათ კი იტალიაში გამართულ შეჯიბრებაში 1.44,6 აჩვენა. ეს ევროპაში ამ სახეობის ისტორიაში მესამე შედეგია.

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატში უცხოელებიც მონაწილეობდნენ. 10 კმ რბენაში მსოფლიო რეკორდსმენს დ. ბედფორდს განზრახული ჰქონდა სპორტს ჩამოშორებოდა და ოთხ თვეს არც უვარჯიშია, მაგრამ ამ შეჯიბრებაში ძალა მაინც სცადა და გაიმარჯვა—28.14,8. ამან სპორტსმენს გადააწყვეტინა ევროპის ჩემპიონატშიც მიიღოს მონაწილეობა. ამერიკელმა რ. ფეიერბახმა ბირთვის კვრა მოიგო — 21,37 მ.

აუგსბურგი. გფრ-ისა და პოლონეთის გუნდების მატჩში გუნდურ ჩათვლაში მასპინძლებმა იმარჯვეს — 369:338. პირადი შედეგებიდან აღსანიშნავია პოლონელი ხოინტავის გამარჯვება სამხტომში—16,63 მ. ქალთა შორის 800 მეტრზე რბენაში უძლიერესმა კათოლიკამ (გფრ) 2.01,18 აჩვენა.

ოსლო. ნორვეგიის, შოტლანდიისა და ბულგარეთის მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ჯ. პიორემ 10000 მეტრზე რბენაში ნორვეგიის რეკორდი დაამყარა—28.14,6. საერთო გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს მასპინძლებმა. II ადგილი ბულგარელებს ხვდათ.

ბუქარესტი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ვ. ბონჩი-იოანი 192 სმ სიმაღლეზე გადახტა და რუმინეთის რეკორდი დაამყარა.

ვაშინგტონი. აშშ-ს უნივერსიტეტების ჩემპიონატში ჰერნდენი 808 სმ სიგრძეზე გადახტა, 120 იარდზე (108,73 მ) თარჯრბენში კი ფოსტერმა 13,55 წამი აჩვენა.

## მინი-კალათბურთის ისტორია დაიწყო

მინი-კალათბურთის მნიშვნელობა და როლი დღეს საბოლოოდ განსაზღვრულია. მან თავისი არსებობა საკმებით გაამართლა და ახლა მტკიცედ იკიდებს ფეხს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ეს სახეობა დიდი სპორტის თავისებური ვიზაა, კალათბურთის ხვალინდელი დღე. ამიტომაც მისი დანერგვა-განვითარება ყოველმხრივ ხელს უწყობს მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდას.

კალათბურთელთა პერუს მსოფლიო ფესტივალის პროგრამაში, რომელიც შარშან ჩატარდა, მინი-კალათბურთელთა ასპარეზობას თვალსაჩინო ადგილი ეკავა. ტურნირში მონაწილეობდა ევროპის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის ბევრი ქვეყანა. ამ სახეობამ საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი იაპონიაშიც. იაპონელი სპეციალისტების აზრით, კალათბურთის პოპულარიზაციას და შემდგომ განვითარებას სწორედ მინი-კალათბურთმა უნდა ჩაუყაროს საფუძველი.

სსრ კავშირში მინი-კალათბურთით დიდი ხანია დაინტერესდნენ ბალტიისპირეთში, უკრაინაში, მოსკოვსა და ლენინგრადში, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო ადრე იგი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში დაინერგა სპორტის დამსახურებული ოსტატის ო. ქორქიას თაოსნობით. სამწუხაროდ, მაშინ ამ საჭირო თაოსნობას თბილისის სპორტულმა ორგანიზაციებმა მხარი არ აუბეს. ახლა ყველაფერი თავიდან იწყება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ უკვე მოსწავლეთა როლში გამოვდივართ.

ასეა თუ ისე, მინი-კალათბურთის სიცოცხლისუნარიანობა უკვე დამტკიცებული ფაქტია. სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციის მინი-კალათბურთის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ჩაატაროს პირველი საკავშირო კონკურსი, რომელიც ლენინგრადში დაიწყება 6 აგვისტოს.

შეჯიბრების პროცესში ნორჩ კალათბურთელებს საშუალება ექნებათ გამოსცადონ ძალები ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაში (რბენა სხვადასხვა დისტანციაზე, რბენა ბურთით, ხტომები, საჯარიმო სროლა, ესტაფეტები). გუნდების კაპიტნები მონაწილეობას მიიღებენ სპეციალურ კონკურსში, რომლის მიზანიც წესების ცოდნის გარკვევაა. მოეწყობა გამოკითხვა კალათბურთის ისტორიაშიც.

კონკურსის პროგრამის ძირითადი ნაწილი კი მაინც კალათბურთელთა ტურნირი იქნება. ყოველი მატჩის ხანგრძლივობა განისაზღვრება 24 წუთით (4 ექვსწუთიანი ტაიმი). პირველ კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ 1963—1964 წლებში დაბადებული გოგონები და ბიჭები რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან, ლატვიიდან, ესტონეთიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა მიზანშეწონილად ცნო მინი-კალათბურთის შემდგომი განვითარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და ბავშვთა სპორტსკოლების დაწყებითს მოსამზადებელ ჯგუფებში. მინი-კალათბურთის ნამდვილი ცხოვრება დაიწყო. იმედია, ამ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი კალათბურთელებიც.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

თბილისი სპორტულ ბანაკში

ფეხბურთი. საქართველოს თასი. 24 ივლისი. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10728